არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
მუნდირის ღირსების დამცველი

# იმედი

2016 წლის მარტი | „მუნდირის ღირსების დამცველის" პერიოდული გამოცემა | ფასი: 1 ლარი | გამოდის 1994 წლიდან №3 (357)



# საქართველოში ზეთისხილი „დაბრუნდა"

**ცნობილია, რომ ზეთისხილის კულტურა საქართველოში აფხაზეთის და კახეთის მშრალ სუბტროპიკულ ზონაში ოდითგანვე ყოფილა გავრცელებული. საქართველოში ისტორიულად ზეთისხილის არსებობას ადასტურებს 1879 წელს ახალ ათონში ბერძენი ბერების მიერ ზეთისხილის დიდი პლანტაციის გაშენება. ისიც ცნობილია რომ, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ აქიდან აყრილ ბერებს ხეებზე ისეთი ზემოქმედება მოუხდენიათ, რომ მათი წასვლის შემდეგ არცერთ იმ ხეთაგანს ნაყოფი საერთოდ არ გამოუსხამს. ამდენად ზეთისხილის ხე საქართველოში დაიკარგა, როგორც მსხმოიარე კულტურა და საქართველო დარჩა უნაყოფო მარადმწვანე ზეთისხილის ხის ამარა საოცარი ნაყოფის გარეშე, რომელიც სხვა კულტურით ჩაანაცვლეს.**

**ქართული ზეთისხილის კულტურის აღორძინებაზე ზრუნვა 7 წლის წინ, მისი უწმინდესობის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორეს და ქართული დიასპორის თანადგომით დაიწყო. კომპანიებმა — „ქართული ზეთისხილი" და „ჯეო ოლივი", რომლებსაც ამ საქმეში დიასპორის სამინისტრომ აღმოუჩინა დახმარება. ამ უნიკალურ პროექტში რამდენიმემილიონიანი ინვესტიცია განახორციელეს და 300 ჰექტარზე გაშენდა ზეთისხილის პლანტაცია და საერთო ჯამში, 250 ათასი ზეთისხილის ნერგი დაირგო კახეთში.**

**რატომ არის ზეთისხილი გასაოცარი მცენარე, არავინ იკითხავს, რადგან მისი უნიკალური თვისებები ყველა ჩვენგანს საკუთარ თავზე გამოუცდია, თუმცა ყველამ როდი იცის, რომ:**

**ზეთისხილი მარადმწვანე, სუბტროპიკული ხეხილოვანი მცენარეა, რომლის 60-მდე სახეობა არსებობს, მისი სიმაღლე 4-12 მეტრს აღწევს, მისი ნაყოფი კურკიანია, მოგრძო-ოვალური ან მომრგვალო ფორმისაა. თესლიდან გამოზრდილი მცენარე მსხმოიარობას იწყებს 10-12 წლის, ხოლო კალმიდან გამოზრდილი — 4-5 წლის შემდეგ. ცოცხლობს 300-400 წელზე მეტს, ერთი ხიდან 15-60 კგ მოსავალი მოდის, ხარობს ნებისმიერ ნიადაგში და -7, -9 გრადუს ყინვას უძლებს. არსებობს 1200 წლის ზეთისხილის ხეებიც.**

**ზეთისხილის ნაყოფს კრეფენ ოქტომბრიდან, ჯერ კიდევ მაშინ, როცა მწვანე ფერისაა. ნოემბერ-დეკემბერში ამთავრებს დამწიფებას და შავდება, ორივე შემთხვევაში მისი გამოყენება სასარგებლო და მიზანშეწონილია. ზეთისხილის ნაყოფი, როგორც ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში, ასევე მედიცინაში გამოიყენება. მის ნაყოფს აკონსერვებენ და ხდიან ზეთს. ხოლო ფოთლები გამოიყენება კოსმეტიკაში, კურკებს კი საწვავ მასალად იყენებენ. გადამუშავების შედეგად მიღებული მასა — კოპტონი, ცხოველთა საკვებად გამოიყენება, მერქანი კი — სადურგლო და სახარატო საქმეში შეუცვლელია.**

**ამ დღეებში** ზეთისხილის ხის, როგორც მცენარეული კულტურის საქართველოში დაბრუნება და დაფუძნება, ფართოდ აღინიშნა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი სიღნაღის რაიონის სოფელ საქობოში თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ზეთისხილის გადამამუშავებელ პირველი საწარმოს გახსნას დაესწრო. ზეთისხილის პლანტაციებისა და ახლადგახსნილი საწარმოს დათვალიერების შემდეგ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა:

სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში არაერთი საინტერესო პროექტი დავაფინანსეთ, მათ შორის, ამ რეგიონში ეს პროექტი ერთ-ერთი მნიშვნელოვანია, საქართველოდან წასულმა ჩვენმა თანამემამულეებმა დიასპორული ინვესტიციით გააშენეს ზეთისხილის ბაღები, ჯამში 200 ჰექტარზე მეტი. გადამამუშავებელ საწარმოში 100 ადამიანზე მეტი დაასაქმეს და რაც მთავარია, საწარმო უშვებს როგორც ორგანულ და ბიოლოგიურად სუფთა ზეთისხილის ზეთს, ასევე დაფასოებულ ზეთისხილს.

პრემიერმა იმედი გამოთქვა, რომ მსგავსი პროექტები კიდევ განხორციელდება და საქართველოში წარმოებული პროდუქცია კონკურენტუნარიანი იქნება არა მხოლოდ ადგილობრივ, არამედ უცხოურ ბაზარზე.

ღონისძიების ორგანიზატორები არიან მას „ჯეოლაივის" დამფუძნებლები საქართველოში, თურქეთში მცხოვრები ქართველები და მათი პარტნიორი „კეპიტალ ფართნერს ოფ ჯორჯია", ეკატერინე სვანიძის ხელმძღვანელობით. კომპანიის მიერ განხორციელებული პროექტია საერთო სასტუმრო ... დაახლოებით, 5 მილიონი ლარია. პროექტის ფარგლებში გაშენდა ზეთისხილის პლანტაცია, სადაც დაირგო 250 ათასი ზეთისხილის ნერგი და აშენდა გადამამუშავებელი საწარმო.

ფირმის დამფუძნებლები — აჰმედ ქაჰრამანი ორჰანლიზი, კავკასიურ კულტურათა ასოციაციის ყოფილი ხელმძღვანელი და მეჰმეთ ნური თაიარი, ინეგოლის კავკასიური ფოლკლორის კავშირის ხელმძღვანელი ჩვენი რედაქციის ავტორები არიან:

***ბატონო აჰმედ, როგორ გაჩნდა საქართველოში ზეთისხილის კულტურის შემოტანის იდეა.***

— ბურსა-ინეგოლში ხუთი ქართული სათვისტომოა და ყველას

გვ. 2

# გიორგი მღებრიშვილის ვიზიტი საფრანგეთსა და გერმანიაში

შინაგან საქმეთა მინისტრი სამუშაო ვიზიტით საფრანგეთსა და გერმანიაში გაემგზავრა. იგი ვიზიტის ფარგლებში საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრ ბერნარ კაზენევს, გერმანიის შინაგან საქმეთა ფედერალურ მინისტრ თომას დე მეზიერეს, ბავარიის ვიცე-პრემიერს, ფედერალური მიწის შინაგან საქმეთა, მშენებლობის და ტრანსპორტის მინისტრ იოაჰიმ ჰერმანს, ბავარიის ფედერალური მიწის კრიმინალური პოლიციის პრეზიდენტ რობერტ ჰაიმბერგერს, რაინლანდ პფალცის ფედერალური მიწის შინაგან საქმეთა, სპორტის და ინფრასტრუქტურის მინისტრ როჯერ ლევენცს, ქვემო საქსონიის ფედერალური მიწის შინაგან საქმეთა და სპორტის მინისტრ ბორის პისტორიუსს, რაინ-ვესტფალიის ფედერალური მიწის შინაგან საქმეთა და ადმინისტრაციულ საკითხთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელს, სახელმწიფო მდივან ბერნარდ ნებესს და სხვა ოფიციალურ პირებს შეხვდა.

შინაგან საქმეთა მინისტრის სამუშაო ვიზიტი 6 აპრილს დასრულდება.



# შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კამპანიაში თბილისის რესტორნები ჩაერთნენ

შინაგან საქმეთა სამინისტრო, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პროგრამის - „შენი გულისთვის, შენი უსაფრთხოებისთვის" ფარგლებში, ფართომასშტაბიან საინფორმაციო კამპანიას აგრძელებს. კამპანიაში თბილისში არსებული რესტორნების სხვადასხვა ქსელი ჩაერთო.

შს სამინისტროს მიერ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კამპანიის ფარგლებში დამზადებული სტიკერები „ნუ დაჯდები საჭესთან ნასვამი" რესტორნების თანამშრომლებმა თავიანთ ობიექტებში განათავსეს.



მსგავსი ღონისძიებები კვლავ გაგრძელდება და კამპანიას სხვა რესტორნებიც შეუერთდებიან.

შსს-ს კამპანიის მიზანია ავტოსაგზაო შემთხვევების პრევენცია და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

# შსს-ს აკადემიაში ევროპელმა პროფესორებმა პოლიციის სისტემების და მიგრაციული კრიზისის თემაზე შეხვედრები გამართეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ორგანიზებით, გერმანიის უნივერსიტეტის პროფესორმა ხოაკიმ კერსტენმა და ლონდონის ეკონომიკის სკოლის პროფესორმა მორის პანჩიმ საჯარო ლექცია თემაზე - „პოლიციის სისტემები და მიგრაციული კრიზისი ევროპაში" წაიკითხეს. ღონისძიებას შსს-ს აკადემიისა და აიამდე სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტები, აგრეთვე, შსს-ს დანაყოფების თანამშრომლები ესწრებოდნენ.



ლექციაზე პროფესორმა მორის პანჩიმ ყურადღება განსხვავებული მოდელის საპოლიციო სისტემებზე გაამახვილა. პროფესორი ხოაკიმ კერსტენი მსმენელებს, გერმანიის მაგალითზე, მიგრაციასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, ასევე, ჯანდაცვის, განათლების, კულტურული ტრადიციებისა და გენდერული თავისებურებების საკითხებზე ესაუბრა.

უცხოელმა პროფესორებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში სამუშაო შეხვედრაც გამართეს, თემაზე - „პოლიციის სისტემები და ანგარიშვალდებულება". მათ შეხვედრის მონაწილეებს საპოლიციო სისტემებთან დაკავშირებით თავიანთი სამუშაო გამოცდილება გაუზიარეს. ღონისძიება ინტერაქტიული ხასიათის იყო და კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

სამუშაო შეხვედრაში შსს-ს აკადემიის, შსს-ს მიგრაციის, საერთაშორისო ურთიერთობების და იურიდიული დეპარტამენტების, ასევე, შსს-ს რეფორმებისა და განვითარების სააგენტოს თანამშრომლები მონაწილეობდნენ.



შორენა შენგელია

# ქართველების ტრაგედია ათენში

ევროპა თავბრუდამხვევია, შესაშურად ბედნიერი გეჩვენება, მაგრამ საცხოვრებლად რთულია, რომელსაც გაძლება, გამკლავება და შესწავლა სჭირდება... მითუმეტეს, ურთულესია არალეგალურად წამოსული მოქალაქეებისათვის, რომლებსაც არავითარი კანონი და მორალი არ იცავს, სიახლის პირობებში ბევრი ახერხებს არსებობას და ბევრიც ვერა, ევროპაში ჩამოსული პირისპირ ეჯახება იმ სირთულეებს, რაც საზღვარგარეთ წასვლის გადაწყვეტილებამ მოუტანა, ახალი ცხოვრების დაწყება გაიძულებს გაუძლო იმ მოულოდნელ გარდაქმნებს, როგორიცაა: სამშობლოსთან განშორება, განსხვავებული მენტალიტეტი, ენის ბარიერი, სილარიბის დაძლევა, სამშობლოში დატოვებული შენი საზრუნავი ოჯახი და ახლობლები, ახალ გარემოში მოხვედრა, შური, უკმაყოფილება, დამცირება, უსიხარულო ყოფა, მარტოობა, ცხოვრების ევროპული კანონები, განცხრომაში მყოფ ადამიანთა ცხოვრების ცქერა, — ეს ის მცირე ჩამონათვალია, რაც ევროპაში ახლად ჩამოსულმა ემიგრანტმა მეტ-ნაკლებად უნდა აიტანოს და ეს ის საფეხურებია, რომელზეც ფრთხილად უნდა იარონ, სანამ ადაპტირდება და საზოგადოებას შეერევა, იქაური ცხოვრება მოსწონს თუ არა, ამას მნიშვნელობა არა აქვს.

საბჭოთა კავშირის პერიოდში დაბადებულმა ქალებმა, ახალი ცხოვრების დასაწყებად და უკეთესი მომავლის საძებნელად, ევროკავშირის დალაშქვრა გადავწყვიტეთ, ეს მაშინ, როცა ყველა საბჭოთა ადამიანისათვის საოცნებო სიზმარი'ახდა და ევროპამ კომუნისტური რეჟიმის მოშლის შემდეგ კარები გაუღო იაფ მუშახელს, ეს ის „აკრძალული ხილი"'' გახლდათ, რომელიც მშფოთავი, მოუსვენარი ადამიანების ფსიქიკას ალიზიანებდა, იმედისმომცემი ოცნებების მორევში ითრევდა და უშიშრად სარისკო გადაწყვეტილებებს იღებდნენ. პროცენტიანი ვალებით, დაგირავებული სახლებით და მიტოვებული ოჯახებით დატვირთული ქალები გაუთვითცნობიერებელ მოქმედებას იწყებდნენ საკუთარი თავისა და ოჯახების გადასარჩენად, როცა საკუთარ ქვეყანაში - წინ წყალია და უკან მეწყერი,'საოცნებო ევროპაში გასამგზავრებელ კომპანიაში, ხშირად სამუშაოდ წამოსვლის მსურველი ქალებიც ჩაერთნენ, მომხიბვლელი შეთოთავაზებული წინადადებების ორომტრიალში გაეხვივნენ, სადაც იყო ბევრი დაპირება და ბევრი ტყუილი. მოულოდნელად, ეს ხალხი სასტიკი ფაქტის წინაშე აღმოჩნდა, მოხვდნენ იმ ბრძოლის ველზე, რომელსაც არც სარდალი ჰყავდა, არც გზის მაჩვენებელი და არც გამოცდილება ჰქონდათ, არასწორად ინფორმირებულნი, უკეთეს პირობებზე მეოცნებენი და გაბედულები, საზღვარგარეთ გასასვლელ გზას დაადგნენ, ვინც ელემენტარული საშუალება გამონახა დუხჭირი ცხოვრებისაგან თავის დასაღწევად.

დროთა განმავლობაში ადაპტირდები, ევროპული ყოფის ფერხულში ებმები, თუ მოიძებნა ადგილი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ეს უკვე დიდი მაღწევაა, მაგრამ განა ყველა ადამიანს ერთნაირად შეუძლია მსგავს პრობლემებთან გამკლავება?! სწორედ ამიტომ ყალიბდება ბევრი დამნაშავედ, ნარკომანად, ქურდად, აფერისტად, ასეთი ჩვენი თანამემამულეები სამშობლოს არცხვენენ, სახელს უტეხენ ჩვენს საოცრად მშრომელ, მირჩილ, ძლიერ და მებრძოლ ქალებს, რომელთა დიდმა ნაწილმა ამ უცხო ქვეყანაში საზოგადოების პატივისცემა დაიმსახურა.

რასაკვირველია, მათ სისასტიკეს, ჩადენილ დანაშაულს, ქურდობას, მევახშეობას, გამართლება არ აქვს, მაგრამ რა ვუყოთ, ეს სამარცხვინო ქართველებიც, ხომ ჩვენი ქვეყნის ნაწილია, ჩვენი თანამემამულეები არიან, ჩვენი სისხლი და ხორცი, რომლებიც უგუნურობის მსხვერპლად იქცნენ. საუბედუროდ, ამ რთულ გარემოში მოხვედრილი, აუსტი ნებისყოფის ადამიანთა ნაწილი ცდუნებას ვერ უძლებს და საატიკ ადამიანად გარდაიქმნება ხოლმე, რომლის უამრავი მაგალითი არსებობს. დღე არ გავა საბერძნეთში ქართველების მიერ ჩადენილი დანაშაულზე საშინელი ინფორმაციები არ გამოცხადდეს, ზოგი გამეტებულად კლავს და აუთავებს მოხუცებს, ზოგი ფულისათვის ბებიებს და მდიდარ ოჯახებს აყაჩაღებს. მათი მაღალორგანიზირებული ოპერაციებით თვით მართლმსაჯულებას და პოლიციას აოცებენ.

არასასიამოვნო, მტკივნეულ და სამარცხვინო ამბებს შორის ერთს გამოვარჩევ, რომელიც მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება გააუბედუროს გაუფრთხილებლობამ, უვიცობამ და სიხარბემ უცხო ქვეყანაში გადახვეწილი უკეთესი მომავლის მაძიებელი ადამიანი. მინდა მკითხველს ნათლად მივაწოდო მომხდარი, რომელიც მეტად ჩააფიქრებს და გააფრთხილებს საზღვარგარეთ წასულებს და წასასვლელად გამზადებულებს.

საბერძნეთში, ათენში, უძველესი მსოფლიო კულტურული ცივილიზაციის ქალაქის ცენტრში, მთელი მსოფლიოდან ჩამოსული



უამრავი ემიგრანტი და ლტოლვილი ცხოვრობს, აქ შეხვდებით ყველანაირ ადამიანს. დღეს ათენის ეს რაიონი საცხოვრებლად ყველაზე დაუცველი და ჩაბინძურებულია, სადაც უამრავი მძიმე დანაშაულებიც ხდება, წლების განმავლობაში ძირძველი მოსახლეობის დიდი ნაწილი სწორედ ამ მიზეზით გაერიდა ქალაქის ცენტრში ცხოვრებას. მსოფლიოში დაწყებულმა დიდმა ცვლილებებმა, გაუთავებელმა პოლიტიკურმა და სოციალურმა პრობლემებმა, მუსლიმურ ქვეყნებში დაწყებულმა ომებმა, უამრავი ადამიანი ღვთის ანაბარა დატოვა და ზოგი მათგანი დამნაშავედ აქცია. მრავალფეროვან ემიგრანტებში, დანაშაულიც მრავალფეროვანია, მათ სიაში უამრავი ქართველია, რომელთა ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე არაფრით ჩამოუვარდება სხვებისას. ყველა ემიგრანტს თავისი გასაჭირი აქვს, არავინ იცის, ვინ რა გეგმებით მოდის და რა გზით უნდა უცხო ქვეყანაში დამკვიდრება, სადაც ყოველ ნაბიჯზე მხოლოდ უსიამოვნებებია მოსალოდნელი. უნებლიედ ხდები, იმ საზოგადოების ნაწილი, ვისაც შენი პრობლემები არ აინტერესებს და მათთვის მხოლოდ იაფ მუშახელად მოიაზრები. უხვად მოიძებნება ფულის იოლად შოვნის მაძიებელნიც, რომლებიც სხვადასხვა გზებით ახერხებენ კიდეც გამდიდრებას და კარგად ცხოვრებას, მაგრამ უმეტესობა განწირულია.

2010 წელს საშინელი ამბავი მოხდა, ამ ფაქტს დიდხანს აშუქებდა საბერძნეთის პრესა. 38 წლის ქართველმა ქალმა, 70 წლის ასევე ქართველი ქალი მოკლა.

ევროპაში სამუშაოდ წამოსულ 70 წლის ქალს სამუშაოს შოვნა გასჭირვებია, ასაკოვანი ადამიანისთვის მძიმე ფიზიკური შრომა ძალიან ძნელია, ფაქტობრივად ისინი არც აჰყავთ სამსახურში. 70 წლის ხანდაზმულმა ქალმა, გამოსავალი იპოვა და ყველაზე მოთხოვნად საქმეს — ფულის გაპროცენტებას მიჰყო ხელი, რითაც საკმაო დიდი შემოსავლის შოვნის შანსიც მიეცა, „შეეკრა" „კარგ ბიჭებს", რომლებიც გაპროცენტებული ფულების ამოღებაში ეხმარებოდნენ, ე.ი. ურჩ გადამხდელებს სჯიდნენ, აშანტაჟებდნენ, ასე შექმნეს თავიანთი „ბიზნეს ცენტრი" და კარგ ფულსაც მოულობდნენ, ამბობდნენ, შიიერხებულმა მოხუცმა'შვილებს სასლიც კი გააყიდინა, რათა გამოგზავნილი ფული გაეპროცენტებინა და მეტი მოგება ენახა.

მევალეების დიდ სიაში მოხვდა 38 წლის ერთი ქალბატონიც, რომელსაც სხვა ქალების მსგავსად საზღვარგარეთ წასასვლელად პროცენტიანი ვალები აუღია. ახლადჩამოსულებისათვის სამსახურის შოვნა დიდი გამართლებაა. მას საკმაო პრობლემები დაგროვებია, ვინაიდან ხელფასები საბერძნეთში დაბალია, ფულის დაგროვება შეუძლებელი ხდება, როცა ვალები კატასტროფულად იზრდება და თან, არც ფულის შეგროვების საშუალებას გაძლევს სამშობლოში დატოვებული ოჯახი, ქალები ვერ აკონტროლებენ თავიანთ შესაძლებლობებს, რის გამოც სასოწარკვეთილებაში ვარდებიან და დიდი უბედურების მსხვერპლნი ხდებიან, ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც.

თანადგომით თავდაჯერებული და „კარგი ბიჭებით" ზურგგამაგრებული 70 წლის ქალი ყველა ლონეს ხმარობდა და მუქარით აიძულებდა 38 წლის ქალს, მისთვის ვალი დაებრუნებინა, რომელიც თავისი მოგებული პროცენტებით იმდენად ბევრი იყო, რომ ვალს ვერ აბრუნებდა, მევალე მხოლოდ „ძირი ფულის" აღებას კი, არ თანხმდებოდა. ამიტომ, 70 წლის ქალბატონს 38 წლის ქალბატონი დაუტყვევებია. მეზობლების თქმით, მისი ბინიდან ჩხუბის ხმა სისტემატურად ისმოდა. ახალგაზრდა ქალს გამოუვალი მდგომარეობის გამო საშინელი გადაწყვეტილება მიუღია.

სამართალდამცავებმა ნაჭრებად დაჩეხილი. ცელოფნის პარკში ჩალაგებული და ნაგვის ყუთში გადაგდებული 70 წლის ქალის გვამი მაშინ იპოვეს, როცა ცხედარს საშინელი სუნი ასდიოდა. მიკლულს, ჯიბეში დოლარები და გულზე ოქროს ჯვარი ჰქონდა, სახელის და გვარის ჩანაწერი ჯიბეში უპოვეს, ახლობლებს ამოცნობა რომ არ გასჭირვებოდათ. ეს მართლაც პარადოქსია. ამ საქციელს რა შეიძლება ვუწოდოთ, მკითხველისთვის მიმინდვია. ჩემთვის გაუგებარია, ადამიანს ასეთი სისასტიკის მოყვარეობა და თან. მსხვერპლი ახლობლებზე [illegible] ქალბატონი გარდაცვლილიც და მკვლელიც უვიცობის, სიბეცის და სიხარბის მსხვერპლი ევროპაში გადახვეწილმა, ახლობლების თვალის მომირებულმა, თავი ყოვლისშემძლედ წარმოიდგინა, რამაც დაღუპა. ვინ იცის, იქნებ თავის ქვეყანაში და ახლობლებს რომ არ განშორებოდნენ, არც ერთი გამხდარიყო მკვლელი და არც მეორე — მევახშე. თუ ქვეყანას რამეს არ მატებდნენ, არც არას დააკლებდნენ

*და ბოლოს, ამ ჩემი მონაათხრობის გამო, მინდა ბოდიში მოვუხადო საზღვარგარეთ სამუშაოდ წასულ ჩვენს სასახელო ქალებს, რომელთა თავდადებაც გმირობის ტოლფასია, რომლებმაც ყველაფერი შეძლეს, რომ ღირსეულად წარმოეჩინათ თავიანთი სამშობლო, უამრავი მათგანი შრომობს, არჩენენ საკუთარ ოჯახებს და უამრავ ახლობლებსაც ეხმარებიან. ისინი საქართველოს სიამოვნებით დაუბრუნდებიან, თუ ხელისუფლებამ დააფასა და მოიცალა მათთვის. მსგავს უმძიმეს, სამარცხვინო შემთხვევებსაც სჭირდება კამუქება, რათა ერთად ვებრძოლოთ სიხარბეს და უვიცობას.*

შორენა შენგელია,
ათენი

# მსხვერპლი – ჩემს სანაცვლოდ



**აფხაზეთის დაკარგვამდე - ომის უკანასკნელ დღეებს იგონებს ზაურ ბედია - საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას პირადი მფრინავი**

ეს ის პერიოდია, როცა მოწინააღმდეგეს „ძვალივით" ვეჩხირები ყელში და „დაუმორჩილებლობის გამო" ჩემზე აშკარა „ნადირობა" აქეს გამოცხადებული. **განრიგი** ერთი თვით ადრე დგებოდა, ვინს სად უნდა გაფრენილიყო და როგორც ჩანს, ვიღაცამ წინასწარ აცნობა, რომ იმ დღეს სოჭის რეისზე ჩემი ფრენის რიგი იყო... მაგრამ **გერასი ტაბუევს** - ჩემს მეგობარს და კოლეგას **ისლამ მარგიანისთვის** - ესკადრილიის უფროსისთვის **უთხოვია**, სოჭში ოჯახისთვის რაღაცეების ყიდვა მინდა და ბედიას ნაცვლად გამიშვითო, რაზეც თანხმობა მიუღია. თუმცა ერთი სული მქონდა წავსულიყავი, რა გაეწყობოდა, დავრჩი. გაფრინდნენ გერასი - „ხომალდის მეთაური", ოთარ შენგელია - მეორე მფრინავი, სერგეი შახი - ფლაგმანი, ვლადიმერ ნაზარკო - ბორტმექანიკოსი, ოლია მარგუშოვა და ქეთევან შონია — ბორტგამცილებლები.

საღამოხანს აეროპორტიდან მფრინავმა ვაჟა ფალიანმა დამირეკა.

ახლა ნუ გადაირევი და ქესებურად ფაფარს ნუ აიყრი.. — უკვე ვიცოდი, რაღაც საშინელება უნდა გამეგო. თითქოს დავმუნჯდი, როცა იქითა მხრიდან გავიგონე:

დაჯდომამდე 11 კილომეტრით ადრე შენი თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

რაა?! არანორმალური ხმით ვიღრიალე და არ მახსოვს, როგორც გავჩნდი სადისპეტჩეროში.

გაოცებულმა დისპეტჩერმა შეშინებული ხმით მკითხა:

ეს თქვენ ხართ?

ჩქარა მითხარი, რა მოხდა? ვღრიალებ არაადამიანური ხმით.

გუდაუთამ მითხრა, როგორც იქნა, ბედიასგან დავისვენეთო. - ხმის კანკალით მითხრა დისპეტჩერმა.

მისკენ არც ვიხედები, გუდაუთის დისპეტჩერის ლილაკს მე თვითონ ვაჭერ ხელს და ხმის ჩახლეჩამდე ღრიალით ვეკითხები:

ვინ ჩამოაგდეთ?

თქვენ ვინ ხართ?

მე ბედია ვარ!

შეუძლებელია! — შეიცხადა არაადამიანური ხმით.

სანამ მე სიმწრისგან მუხლებზე ვირტყამ ხელებს, გონსმოსული ჩვენი დისპეტჩერი იქითა მხარეს არწმუნებს, რომ მის წინ მე — ზაურ ბედია, ცოცხალი და საღსალამათი ვდგავარ.

.. სამწუხაროდ, ჩემი მეგობრების სიცოცხლის ფასად. ასე შემთხვევით გადავურჩი მორიგ სიკვდილს. შემდეგ კიდევ რამდენიმე სამოქალაქო თვითმფრინავი ჩამოაგდეს, რაც დანაშაული იყო კაცობრიობის ხისმე. იმ დღეებში რამდენიმე ათეული ხლით დავბრუნდი და მაინც თვითმფრინავი **ბორტით N65893** ახვა იყო ჩემთვის, იმით ბოლოს ჩვენი პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია** ერევნიდან გროზნში ჩავიყვანე

მაშინ არ ვიცოდი, რომ ჩვენი განსაცდელი თურმე ამით არ მთავრდებოდა.

27 სექტემბრის სოხუმი დაეცა. თავზარდამცემ სიჩუმეს ტყვიის გასრიოლის ხმა კანტიკუნტად არღვევდა. ავიაქალაქიდან სოხუმისკენ ჩემი „მოსკვიჩით" გავეშურე, რათა ჩემი სიდედრი და მისი დები წამომეყვანა. ქალაქში შესვლელშივე მემნიშნეს და ფუნიკულიორიდან დამიშინეს ტყვიები. იქვე შესობას მოვეფარე და გადავრჩი. საჭე დავატრიალე და უკან დაბრუნება დავაპირე, რათა აქაურობას გავრიდებოდი და მომეფიქრებინა, რა მექნა. უცებ შეიარაღებული ქართველები გადამიდგნენ წინ, მანქანის გაჩერება ძლივს მოვასწარი, თერთმეტი დაჭრილი ერთიმეორის მიყოლებით თავზებივით ჩამისვეს და მთელი სიჩქარით სინოპში ჰოსპიტალში გავქანდი, სადაც სასწრაფოდ გადმოიყვანეს დაჭრილები. სამწუხაროდ მათი ბედი აღარ ვიცი. მაგრამ მახსოვს, რომ იქ ბატონი ჟიული შარტავა დავინახე, რომელსაც ვკითხე:

ნუთუ დავიღუპეთ?

მორჩა ყველაფერი! — უიმედოდ ჩაიქნია ხელი.

შეცბუნებული კვლავ უკან ქალაქისკენ შევბრუნდი, მაგრამ ვერ მევედი, მოხუცები ვერ წამოვიყვანე

დაღონებული უკან დავბრუნდი და რაც აეროვაგზალში ვნახე, სიცოცხლის ბოლომდე არ დამავიწყდება. ნანახმა მთელი არსებით შემძრა, თვალებს არ ვუჯერებდი. შემდეგ კიდევ სხვა თვითმხილველებისგან არ გამეგო, ალბათ, მაინც გამიქირდებოდა იმაში დარწმუნება: ცენტრში აუზთან ახლოს მიცვალებულები ეყარა, რომელსაც თავს დასტრიალებდნენ უზარმაზარი ღორები. გამწარებული ძაღლები დასდევდნენ და ვერ იგერიებდნენ. ყეფით და ღრენით კლებდნენ იქაურობას და მაინც გვამებთან ახლოს მისვლის საშუალებას არ აძლევდნენ. გავშრი. გაოგნებული ერთხანს შევჩერდი და გავაცნობიერ, ამ მოკლე ხანში ეს უკვე მერამდენე შემთხვევა იყო, როცა სრულიად უმწეო და უძლური ვიყავი მეღონა რამე.

ღმერთო, მაპატიე მკრეხელობისთვის, მაგრამ ვიწამე, ძაღლს ადამიანზე დიდი გული ჰქონია. იმ დღიდან ამ ცხოველისადმი სიყვარული გამიორმაგდა...

შემდეგ რა მოხდა, რა მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ასე იყო, იმ ქარცეცხლიდან მერხეულში დეიდასთან გადახიზნული მაშინ შვიდი წლის ჩემი ელენე წამოვიყვანე, მოხუცებსაც ვუშველე და ლამის გაგიჟებული დავბრუნდით სახლში, სადაც უკვე აღარ გვედგომებოდა. ავიკარით გუდა-ნაბადი, კარის მეზობელ პაპაიანებს დავუტოვე სახლის გასაღები და თბილისში წამოვედით იმის იმედით, რომ მალე დავბრუნდებოდით

სხვათა შორის ამ ამბებიდან რამდენიმე წლის შემდეგ - 2001 წელს აფხაზეთში ჩემს საკუთარ სახლში გაეროს ეგიდით ვიმყოფებოდი, სტუმრად რასაკვირველია და ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ გაოცებულებმა პაპიანებმა მკითხეს. შენ აქ რა გინდა?! — და მათ ხმაში სიბრაზე იკითხებოდა... ამაზე მეტი ბედის ირონია გინდათ?!

განვლილი ცხოვრებიდან და მფრინაობის მრავალწლიანი გამოცდილებიდან გამომდინარე უმთავრესი ჩემი დასკვნა ზოგადად ასეთია: უკვე გამოცდილ მფრინავს, რომელსაც „ფრენის" სირთულის მომხიბვლელობა და ბედისწერის მზაკვრობაც გამოვლილი აქვს, შეიძლება ფრენა უკვე აფრთხობდეს კიდეც, ხოლო ახალგაზრდა მფრინავი, შესაძლებელია ზედმეტად გაბედული იყოს.. ამდენად, ცოდნის, გამოცდილების და გაბედულების შერწყმა და ცხოვრებაში პრაქტიკულად რეალიზება პიროვნულ თვისებებზეა დამოკიდებული, რაც შეეხება შეცდომას - მას ადამიანი ნებისმიერ ასაკში უშვებს.